მაკროეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები და ქვეყნის საჯარო პოლიტიკა

გუგა თებიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი გუჯარაიძე, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო 2022 წელი

ანოტაცია

საერთაშორისო უსაფრთხოების თეორიებში ეკონომიკურ საკითხებს ბოლო წლების განმავლობაში დიდი ყურადღება მიექცა და მაკროეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებისთვის მსოფლიოს მრავალი წამყვანი ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს.

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორია საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მტრულად განწყობილი ქვეყნების ქცევები, ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სექტორები და თავიდან ავიცილოთ ძლიერი ეკონომიკური კრიზისები. საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები გადანაწილებულია რამდენიმე სამინისტროში და ძირითადი დოკუმენტი, სადაც ვხვდებით ეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრებასა და მისი გაძლიერებისთვის გადასადგმელ ნაბიჯებს არის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ბოლო წლებში, ამ კუთხით მიღწეული პროგრესის გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია ამ საკითხით დაკავებული საჯარო უწყებების გაანალიზება, დასახული მიზნების შესრულების შეფასება და დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხების წამოწევა.

საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სტაბილური და ძლიერი ეკონომიკა, რომელიც დაცული იქნება გარე ფაქტორების მანიპულაციისგან. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობა, საქართველოში საჯარო უწყებების მიერ ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯები და გამოყოფილია ის საკითხები, რომელთა გაუმჯობესებაზე მუშაობაც არის საჭირო ეკონომიკური უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

Annotation

Topics of economy have attracted a significant attention in international security studies for past few years and many of the leading countries have taken vital steps in this direction.

Theory of economic security allows us to foresee actions of enemy states, define important sectors for economic development and avoid big economic crises. In Georgia, issues of economic security is divided into few ministries and the main document where we can find a definition of economic security and steps for its improvement is the National Security Concept of Georgia. To assess any progress achieved in past few years it's important to analyze public institutions which are engaged in economic security, evaluate the completion of the set goals and raise additional important topics.

To ensure military security and restoration of territorial integrity of Georgia, stable and strong economy, which is protected from outside manipulations, is one of the most important parts. Hence, in this work there is a discussion about the importance of economic security, steps taken by public institutions of Georgia and emphasized those topics, that need further improvements.